დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ERASMUS+ (Key Action 2; Key Action 3; Jean Monnet) ფარგლებში საერთაშორისო საგრანტო განაცხადის წარდგენის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) საერთაშორისო საგრანტო პროექტების წარდგენის წესი (შემდგომში - ,,წესი“) არეგულირებს საერთაშორისო საგრანტო პროექტის (ამ წესის მიზნებისათვის მხოლოდ ERASMUS+ (Key Action 2; Key Action 3; Jean Monnet)) ფარგლებში არსებული საგრანტო განაცხადები და პროექტები) განაცხადის წარდგენის მიზნობრიობის განხილვის და წარდგენის პროცედურებს, მოთხოვნებს საგრანტო პროექტების განაცხადების მიმართ და წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტების სტატუსსა და სამართლებრივ მდგომარეობას.
2. წესის მიზანია, უზრუნველყოს უნივერსიტეტის სახელითა და მისი ჩართულობით განხორციელებული პროექტების მაღალი ხარისხი, სანდოობა, ეფექტიანობა და შესაბამისობა უნივერსიტეტის პრიორიტეტებსა და საჭიროებებთან.
3. წინამდებარე წესი დაეხმარება უნივერსიტეტს საგრანტო განაცხადების სისტემატიზებაში, კონტროლსა და უნივერსიტეტისთვის არაპროდუქტიული ხარჯების თავიდან აცილებაში.

მუხლი 2. საერთაშორისო საგრანტო განაცხადების შეფასების კომისია

1. საერთაშორისო საგრანტო პროექტების განხილვისა და მათი მიზნობრიობის შესაფასებლად, უნივერსიტეტში იქმნება მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც კომპლექტდება უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისგან, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს საპროექტო განაცხადს.
2. კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით და მის შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის, საფინანსო დეპარტამენტის, პერსონალის მართვის დეპარტამენტის და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლები.
3. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ეხება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებას ან სასწავლო კურსების შემუშავებას, კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.
4. საჭიროების შემთხვევაში, კომისიას შესაძლოა ჰყავდეს მოწვეული წევრი.

მუხლი 3. საგრანტო განაცხადის წარდგენაზე უფლებამოსილი პირები და განაცხადის წარდგენის პროცედურა

1. უნივერსიტეტის პერსონალს (ასევე სტუდენტს საკონკურსო პირობების შესაბამისად უფლებამოსილების შემთხვევაში), ან შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე პირს, რომელსაც სურს უნივერსიტეტის სახელით საპროექტო განაცხადის მომზადება, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად აქვს უფლება უნივერსიტეტის სახელით მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო საგრანტო პროექტში კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში.
2. საგრანტო განაცხადის წარმდგენი პირი/პირთა ჯგუფი, რომელიც გეგმავს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საგრანტო პროექტში უნივერსიტეტის სახელით, ვალდებულია საგრანტო განაცხადისთვის საჭირო დოკუმენტაციის რექტორთან ხელმოსაწერად წარდგენამდე, საგრანტო განაცხადების წარდგენისთვის დადგენილ ვადებში (საგრანტო კონკურსში განაცხადების წარდგენის ბოლო ვადამდე სულ მცირე ორი კვირით ადრე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარმოადგინოს განაცხადი უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.
3. განაცხადთა მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, კომისია განიხილავს თითოეულ წარმოდგენილ საგრანტო განაცხადს და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, წარუდგენს შესაბამის დოკუმენტაციას რექტორს ხელმოსაწერად.
4. კომისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის შემომტან პირს/ჯგუფს, მიეცემა შესაბამისი რეკომენდაციები და 3 დღე ხარვეზების გამოსასწორებლად.
5. რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია არ წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია ხელმოსაწერად, ამავდროულად, საგრანტო პროექტი უნივერსიტეტის სახელით არ იქნება წარდგენილი.

მუხლი 4. მოთხოვნები საგრანტო პროექტის მიმართ

1. უნივერსიტეტის ჩართულობით განხორციელებული თითოეული საგრანტო პროექტის მიზანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უნივერსიტეტის მისიას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ გეგმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროექტი არ განიხილება.
2. საგრანტო პროექტში მონაწილეობის მსურველი პირების კვალიფიკაცია და გამოცდილება, ასევე სამუშაო პროფილი შესაბამისობაში უნდა იყოს საპროექტო განაცხადის შინაარსთან, რაც პრიორიტეტულია პროექტის მიზნების მისაღწევად.
3. იმ შემთხვევაში, თუ პროექტში ჩართული პირების სამუშაო პროფილი არ შეესაბამება პროექტის მიზნებს, კომისია უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია პროექტის პერსონალის ან/და პროექტის პროფილის ცვლილების შესახებ.
4. პროექტი თავისი შინაარსით უნდა იყოს უნიკალური. ის არ უნდა იმეორებდეს უკვე განხორციელებულ პროექტს, ასევე არ უნდა ახდენდეს სხვა წარდგენილი პროექტის განმეორებას.
5. ორი შინაარსობრივად მსგავსი პროექტის შემთხვევაში, კომისია გასცემს რეკომენდაციას პროექტების გაერთიანების შესახებ.

6. უნივერსიტეტის ჩართულობით განხორციელებული საგრანტო პროექტი უნდა ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის საჭიროებებს. განაცხადის წარმდგენმა პირ(ებ)მა უნდა დაასაბუთონ პროექტის მიზნობრიობა.

7. საგრანტო პროექტის მიზანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებსა და სტრატეგიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროექტი არ განიხილება.

8. საგრანტო პროექტით გათვალისწინებული უცხოელი პარტნიორების კვალიფიკაცია, გამოცდილება, ასევე სამუშაო პროფილი შესაბამისობაში უნდა იყოს საპროექტო განაცხადით დაგეგმილ აქტივობებთან.

9. პროექტში მონაწილეობა არ უნდა აყენებდეს უნივერიტეტს არაპროდუქტიული და გაუთვალისწინებელი ფინანსური რისკების წინაშე. კომისია განიხილავს პროექტის ბიუჯეტსა და თანადაფინანსების საკითხს.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული მოთხოვნები სავალდებულოა ERASMUS+ (Key Action 2; Key Action 3; Jean Monnet) ფარგლებში საერთაშორისო საგრანტო განაცხადის უნივერსიტეტის სახელით წარდგენის მსურველი ნებისმიერი პირისთვის.

2. წინამდებარე წესი, მისი ცვლილებები ან/და დამატებები მტკიცდება რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებით.